ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

   მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

   მომხს: პეტრე შარიქაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს: პავლე კიკალიშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 11 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

   მომხს: მანანა ბარბაქაძე

6. საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

   მომხს: მანანა ბარბაქაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2021 წელ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

8.ხარაგაულის მუნიციპალიოტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის N9 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 16 დეკემბრის რიგგარეშე სხდომის
ოქმი N 23

2021 წლის 16 დეკემბერი

დაბა ხარაგაული

9 აპრილის ქუჩა #15

სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარე - მანანა ბარბაქაძე,

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები:

მანანა ბარბაქაძე, დავით კიკნაძე, პაატა გოგოლაძე, ამირან ოქრომჭედლიძე, მარინა ხვედელიძე,ბესიკ კვირიკაშვილი, პავლე კიკალიშვილი, შმაგი ხიჯაკაძე, ოთარ ლურსმანაშვილი, შალვა ლურსმანაშვილი, ნონა ზურაბიანი, ირმა ვაქერ- სებისკვერაძე, გოჩა გიორგიძე.ავთანდილ კვინიკაძე, უშანგი ბერაძე, თორნიკე ავალიშვილი, ქეთევან ზუმბაძე, ბაქარ ბარბაქაძე, ეკა შველიძე, ავთანდილ ვეფხვაძე, კიაზო გამრეკელაშვილი, ვერა ოდიკაძე, მერაბ ტალახაძე, დოდო ხაჩიძე, ია პაქსაშვილი, ლენა აბაშიძე, ვახტანგ ტალახაძე, კობა გოგსაძე, თამაზი ლომიძე ირმა ალხაზიშვილი, კონსტანტინე ბერაძე, ირმა ვეფხვაძე, ომარ გაგოშიძე. სულ საკრებულოს 30 წევრი.

სხდომას ესწრებოდნენ:

მერიის წარმომადგენლები:

კობა ლურსმანაშვილი - მუნიციპალიტეტის მერი,

ვარლამ ჭიპაშვილი - მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე,

დავით დევდარიანი - მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე,

ვლადიმერ გელაშვილი - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო **ნინო მაღლაკელიძე**- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის განყოფილების უფროსი,

საკრებულოს აპარატის წარმომადგენლები:

ლენა კალანდაძე– საკრებულოს აპარატის უფროსი,

ზაალ ორბელაძე- საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში,

ნინო თხელიძე - საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში

ივანე ჭიპაშვილი - საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე,

საინფორმაციო საშუალებათა წარმომადგენლები:

ე. შავიძე - ა.ა.ი.პ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების ცენტრი"-ს დირექტორი

ი. ბერიძე- ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების უფროსი

ნ. კაპანაძე -გაზეთ „ჩემი იმერეთის ჟურნალისტი

მ. ბაბლიძე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების ჟურნალისტი

მოისმინეს: საკრებულოს თავმჯდომარის მანანა ბარბაქაძის ინფორმაცია, მან საკრებულოს წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგი

დღის წესრიგი

1. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

მომხს: ვლადიმერ გელაშვილი

2. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: კახაბერ გოლუბიანი

3. ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

მომხს: პეტრე შარიქაძე

4. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: პავლე კიკალიშვილი

5. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 11 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

6. საკრებულოს თავმჯდომარის ანგარიში 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხს: მანანა ბარბაქაძე

7. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2021 წელ გაწეული მუშაობის შესახებ

მომხს: მანანა ბარბაქაძე

8.ხარაგაულის მუნიციპალიოტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის N9 დადგენილებაში,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე

მომხს: ნანა კიკნაძე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის დამტკიცების შესახებ

კენჭის ყრაში მონაწილეობას იღებდა საკრებულო 30 წევრი

მომხრე 30

წინააღმდეგი 0

დღის წესრიგი დამტკიცებული იქნა (თან ერთვის)

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტოს სამსახურის უფროსის ვ. გელაშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ (თან ერთვის).

მან საკრებულოს წევრებს გააცნო 2022 წლის ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები და აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ მერიაში გადაგზავნილი შენიშვნები, მერიის მიერ გათვალისწინებული იქნა და წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში შეტანილი იქნა შესაბამისი ცვლილება.

აზრი გამოთქვეს:

თ. ავალიშვილმა - ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" თავმჯდომარემ, მან მოითხოვა განმარტება, თუ როგორ დაიხარჯება ძაღლებისათვის გამოყოფილი 10 000 ლარი.

ვ. გელაშვილმა- მომხსენებელმა უპასუხა, რომ ეს პრობლემა ამ თანხით არ ამოიწურება, ხელშეკრულება გაფორმდება შპს -სთან, თანხების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება.

ვ. ჭიპაშვილმა - მერი პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ მოთხოვნა ამ საკითხთან დაკავშირებით, მერიაში გადმოგზავნილია საკრებულოს მიერ, ველოდებით მათგან წინადადებებს, როგორც ვიცი სამუშაო ჯგუფთან ერთად მიმდინარეობს საკითხის შესწავლა.

დ. კიკნაძემ საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ აღნიშნა, რომ ჩვენ სამუშაო ჯგუფთან ერთად ვიმსჯელეთ, აღმოჩნდა, რომ უპატრონო ძაღლების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება, ვაკეთებთ პროგნოზებს ლოკალური 70 ძაღლზე, მეორე გრძელვადიანი პროგნოზი.

ა. ვეფხვაძემ - სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა აღნიშნა , რომ გადავამზადებთ სოფლებში მოქალაქეებს აცრების ჩასატარებლად, მოითხოვა მხარდაჭერა აქციის ჩატარებაში, რათა მოვიზიდოთ თანხები, რომ დავიწყოთ ფიქრი პრობლემის მოგვარებაზე.

თ. ავალიშვილმა ასევე დასვა კითხვები ბიუჯეტის ხარჯების დეტალურად განმარტების მიზნით კერძოდ: ადმინისტრაციული შენობის დარბაზის რემონტის, გზების კაპიტალური შეკეთების, საკრებულოს და მერიის ხარჯების და სხვა ხარჯებთან დაკავშირებით.

მის მიერ დასმულ კითხვებს უპასუხეს ვ. გელაშვილმა, ვ. ჭიპაშვილმა

პ. კიკალიშვილმა. საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ წარმოადგინა დასკვნა 2022 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით (დასკვნა თან ერთვის).

დ. კიკნაძემ აღნიშნა, რომ 2022 წლის ბიუჯეტი განსაკუთრებულია, კარგია, რომ გაზრდილია სოციალური პროგრამები, დადებითად ვაფასებ და მხარს ვუჭერ.

კ. გოგსაძემ პარტია ნაციონალური მოძრაობის წევრმა აღნიშნა, რომ კარგია სოციალური კუთხით ბიუჯეტი, რომ არის გაზრდილი, 1 სულ მოსახლეზე უწევს 65 ლარი, მაშინ, როცა ერთი მაღალჩინოსანი იღებს 100 000 ლარს, მე ამ ბიუჯეტს მახარს ვერ დავუჭერ.

კ. ლურსმანაშვილმა - მუნიციპალიტეტის მერმა კ. გოგსაძეს მიმართა, საზოგადოება შეცდომაში ნუ შეგყავს, გათვლა მთლიან შიდა პროდუქტზე უნდა გააკეთოთ და არა თქვენებური მიდგომით, ხალხს უნდა დაანახოთ რასაც ვაკეთებთ მაგალითად დიდვაკის ბინების გადახურვა , კიცხის ახალი სკოლა, 12 ახალი ბაღი, გზები, რომელიც არ მოგწონთ, ჩვენ მერიაც და საკრებულოს უმრავლესობაც გპასუხობთ პროფესიონალურად, ქილიკის გარეშე, შინაარსობრივ მხარეზე მზად ვართ დიალოგისთვის.

თ. ავალიშვილმა აღნიშნა, რომ ის ამ ბიუჯეტს მხარს არ დაუჭერს და დატოვა სხდომათა დარბაზი.

,,სხდომის თავმჯდომარემ მუხლობრივად კენჭის ყრაზე დააყენა 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები განისაზღვროს 10 318,1 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე -24

თავი შეიკავა 4

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის შემოსულობები 10 318,1 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვროს **11 797,0** ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 24

თავი შეიკავა 4

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის გადასახადები **11 797,0** ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 155,0 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 24

თავი შეიკავა 4

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის გრანტები **155,0** ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1 160,0 ათასი ლარის ოდენობით.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე -24

თავი შეიკავა 4

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები**1 160,0** ათასი ლარის ოდენობით

კენჭის ყრაზე დადგა საკითხი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2021 წლის ბიუჯეტში ნაშთი განისაზღვროს 1478900 ლარით

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე -24

თავი შეიკავა 4

დაადგინეს: დამტკიცდეს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2022 წლის ბიუჯეტი. (თან ერთვის).

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 24

თავი შეიკავა 4

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის კახაბერ გოლუბიანის ინფორმაცია საკითხზე - „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 19 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 24

თავი შეიკავა 4

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის პ, შარიქაძის ინფორმაცია საკითხზე -ხარაგაულის მუნიციპალიტეტში საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2022 წელს დასაფინანსებელი პროექტების მოწონების შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა განკარგულების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 25

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის პ. კიკალიშვილის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 05 იანვრის N 3 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დედგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 25

თავი შეიკავა 3

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N 11 დადგენილებაში „ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) დამტკიცების შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე (თან ერთვის) .

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დადგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 25

თავი შეიკავა 3

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

სხდომის თავმჯდომარის მოვალეობის შესრულება დროებით დაევალა საკრებულოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს დ. კიკნაძეს რომელმაც მოხსენებისათვის სიტყვა გადაცა საკრებულოს თავმჯდომარეს მ. ბარბაქაძეს

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ანგარიში - 2021 წელს გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის)

აზრი გამოთქვეს:

დ. კიკნაძემ, რომელმაც საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა შეაფასა დადებითად,

ე. შველიძემ, რომელმაც ასევე დადებითად შეაფასა საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობა

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა მიერ დასმული წინადადება საკრებულოს თავმჯდომარის საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 25

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარის, საკრებულოს თავმჯდომარის მ. ბარბაქაძის ანგარიში - ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ 2021 წელ გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).

აზრი გამოთქვეს:

მ. ხვედელიძემ, ლ. აბაშიძემ, რომლებმაც წინადადება დააყენეს გენდერული თანასწორობის საბჭოს საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა საკრებულოს წევრთა მიერ დასმული წინადადება საბჭოს საქმიანობის დადებითად შეფასების თაობაზე.

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 25

თავი შეიკავა 3

საკრებულომ გადაწყვიტა: განკარგულება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამის შემდეგ სხდომა გააგრძელა საკრებულოს თავმჯდომარემ მ. ბარბაქაძემ

მოისმინეს: ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსის ნ. კიკნაძის ინფორმაცია საკითხზე - ხარაგაულის მუნიციპალიოტეტის საკრებულოს 2021 წლის 5 აპრილის N9 დადგენილებაში

,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და დახმარების მიღების წესის შესახებ'' ცვლილების შეტანის თაობაზე

სხდომის თავმჯდომარემ კენჭის ყრაზე დააყენა დედგენილების პროექტი

კენჭის ყრაში მონაწილეობას ღებულობდა საკრებულოს 28 წევრი

მომხრე 25

თავი შეიკავა 3

საკრებულომ დაადგინა: დადგენილება მიღებული იქნეს (თან ერთვის).

ამით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა დახურულად გამოცხადდა.

საკრებულოს თავმჯდომარე **მანანა ბარბაქაძე**